№ 85

კვირა, 24 აპრილი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 85

კვირა, 24 აპრილი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**ნატალია გიორგის ასული შვილებითურთ და ალექსანდრე ანდრიას ძე მაჭავარიანები** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ ოთხშაბათს, 27 აპრილს ამა წლისას, ორმოცის წირვაზედ, რომელიც გადახდილ იქნება **დეკანოზის გიორგი ანდრიას ძე მაჭავარიანის** სულის მოსახსენებლად ქ. ქუთაისში ამაღლების ეკკლესიაში, სადაც დაკრძალულია განსვენებულის გვამი.

**თავადი ნიკოლოოზ იგივე სოლომონ ალექსანდრესძე ბებუთოვი, კნეინა სოფიო ალექსანდრეს ასული ერისთვისა და ნატალია ალექიანდრეს ასული ხერხეულიძისა**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებასა ძვირფასის მამისა თვისისა ტიტულიარნის სოვეტნიკის **თავადის ალექსანდრე ასლანის ძის ბებუთოვისას,** რომელიც გარდაიცვალა 22 ამ თვეს თავის მამულში წყნეთში, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ გამოსვენებაზედ, 27 აპრილს, ოთხშაბათს დილით 10 საათზედ ახალ ბებუთოვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში, რადგანაც გვამს წაასვენებენ მოღნინის წმ. იოსების ეკკლესიაში. განსვენებულს დაასაფლავებენ თავადთა ბებუთოვის საგვარეულო აკლდამაში, ხოჯივანქის სასაფლაოზედ. პანაშვიდი იქნება ყოველ დღე, 7 საათზე საღამოს 25 და 26 ამ თვეს.

(2—1)

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ

**დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა 8 მ ა ი ს ს.**

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნ ი ვ თ ე ბ ი გაუგზავნოს **კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ი ს ა ს.**

(ნიკოლოოზის ქუჩა, საგინოვის სახლი 21).

კვირაცხოვლობას დანიშნულია ვოკზალის ახლო,

ნაძალადევის პირდაპირ გორაზედ

## ბ უ რ თ ა ო ბ ა

ბურთი გავარდება, სწორედ 5 საათზედ.

რადგან 21 აპრილს არ შესდგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა **საგანგებო კრება,** ამიტომ იგი თანახმად წესდების § 15-ისა, ხელმეორეთ დანიშნულ იქმნა 1 მაისისათვის, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკას დარბაზში.

განსახილველი საგნები არიან:

1, მოხსენება სარევიზიო კამისიისა $18^{91}/_{92}$ წლის ანგარიშის შესახებ და აზრი გამგეობისა ამ მოხსენების შესახებ.

2, მოხსენება კომისიისა, რომელსაც წლიურის კრების მიერ მინდობილი აქვს გამორკვევა სკოლების გახსნის საქმისა.

3, მოხსენება გამგეობისა საზოგადოების საქმეთა წარმოების რიგის შესახებ.

4, არჩევა სარევიზიო კომისიისა შესამოწმებლად მიმდინარე წლის ანგარიშისა.

და 5, არჩევა საზოგადოების ახალის წევრებისა.

ტფილისის სამუსიკო კრუჟოკში

დღეს, კვირას, 24 აპრილს

მომღერალი—ბარიტონი **ძ. ს ცხომელიძე** გაჰმართავს საღამოს.

წარმოდგენილი იქმნება რუსულად:

I

**„დემონი“**

1 სურათი 1 აქტისა

II

**„მასკოტტა“**

ოპერა ორ აქტად მუსიკა ოდრანისა.

ლორანის როლს აასრულებს ბ-ნი ბიაზი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ე. სლობოდინისა ე. ნ. კოვალსკისა ბიაზი, ბოგომოლოვი, სმირსკი.

იდირიჟორებს ი. ჰ. ფალიაშვილი.

## ტფილისი, 24 აპრილს

რაც დღე მოდის, ძველებური დროს გატარება სულ უფრო და უფრო სუსტდება; სადღაა ახლა წინანდელი ჯირითი, ყაბახი, ნიშანში თოფის სროლა, ბურთაობა და სხ. ვარჯიშობა?

მაშინ, როდესაც განათლებულ ევროპაში საგანგებოდ აარსებენ სხვადა-სხვა საზოგადოებას სხეულის სავარჯისოდ; ჰსურთ აღადგინონ ძველ ბერძენთა ოლიმპის თამაშობანი,— ჩვენ, რომელთაც ყოველი ესე სასესხებად და გადმოსაღებად არა გვქონდა, სამწუხაროდ, ყველა ამას ვივიწყებთ და სამაგიეროდ ისეთს ზნესა და ჩვეულებას ვითვისებთ, რომელიც არც სულს არგია და არც ხორცს.

დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ არ მოსპობილა მთელად ჯირითი და ბურთაობა, თუმცა დრომ თავისი ხელი იქაც შესამჩნევად დაატყო.

ევროპაში მხოლოდ ერთს ადგილს, შოტლანდიაში, იციან ბურთის თამაში სწორედ ისე, როგორც იმერეთში; ინგლისელებს დიდათ უყვართ ეს თამაში. საზოგადოდ, ინგლისელი განსხვავებულს ყურადღებას აქცევს ფიზიკურს ვარჯიშობას და ინგლისის სასწავლებლების პროგრამმაში ფიზიკურს ვარჯიშობას უპირველესი ადგილი უჭირავს.

ძვირად შეხვდებით ინგლისელს, რომ ცხენოსნობა, მენავობა, ცურვა, ბოკსი, ბურთაობა, ნადირობა და სხვა ამ გვარი ვარჯიშობა არ იცოდეს. ამიტომ ინგლისელი კაცი დიდად განსხვავებულია სხვაზედ, როგორც ჯანმრთელობით, ისე სულის სიფხიზლითაც.

სრულიად არ გვესმის, რად უნდა დავივიწყოთ ეს ჩინებული—თვალისა და გულისათვის სასიამოვნო ძველებური, ჩვენთა მამა-პაპათა დროს გატარების წესი, რომელსაც მრავალი სასიკეთო ხასიათი აქვს?

ამ ვარჯიშობათა შორის ბურთაობა, რასაკვირველია, ერთი უკეთესთაგანია, რადგანაც აქ, გარდა ღონისა, მოთამაშეს სჭირია სისწრაფე მუხლისა, ხელისა და თვალისა. ვისაც კარგი ბურთის თამაში უნახავს, სადაც ცხენოსნებიც ღებულობენ მონაწილეობას, იმან იცის, რომ ამ გვარ ბურთის თამაში ნამდვილი ომია, სადაც კარგი მოფიქრებაც საჭიროა, და რაზმების თავ-თავის დროზედ მიშველებაც გამარჯვების მოსაპოვებლად.

დღეს, სწორედ ამ გვარი ბურთის თამაშია დანიშნული ვოკზალის ახლო, ნაძალადევის გაღმა გორაზე.

ასეთი განზრახვა ძველებურ დროს გასატარებელ თამაშობათა აღსადგენად, უეჭველად ჩინებულია, და ვისურვებთ, რომ ამას სხვა ჩვენთა წინაპართა სხვა მრავალი ვარჯიშობანიც მოჰყვეს: ყაბახი, ჯირითი, ნიშანში თოფის სროლა და სხ.

ყოველივე ესე, გარდა იმისა, რომ ააშორებს უქმე დღეზე ხალხს ლოთობასა და უგზო-უკვლოდ ხეტიალს, შემთხვევასაც მისცემს თითოეულს გამოიჩინოს თავისი ძალ-ღონე, სიმარჯვე, და ისეთი ფიზიკური ღირსებანი, რომელსაც ფასი არასოდეს არ დაეკარგება.

მაგრამ საჭიროა, რომ ჩვენმა ახალგაზდა კაცებმა, სხვათა შორის, ამ საქმისათვისაც მოიცალონ, და საერო თამაშობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

მეველე

## ახალი ამბავი

*** დღეს, კვირას, 24 აპრილს, ნაშუადღევის ხუთს საათზედ, ნაძალადევის პირდაპირ გორაზედ დანიშნულია ბურთაობა.

*** დღეს, ამ თვის 24-ს, დიდუბეში ნაშუადღევის ორის ნახევარზე დანიშნულია დოღი.

*** გუშინ კავკასიის მთავარ-მართებელისაგან დეპეშა მოვიდა, რომ ორშაბათზედ ადრე ვერ ჩამოვალ ქალაქშიო, რადგან გენერალ-ადიუდანტი ს. ა—ძე შერემეტევი პიატიგორსკში შეივლის და მხოლოდ დღეს საღამოს გამოვა კავკავიდგან, რომ

## ფელეტონი

### ახალი ცხოვრება *)

რიცხვ-მრავალ ოჯახშია ჩვენი ხსნა.

მოვიგონოთ ის დრო, როდესაც თვითო ოჯახში ითვლებოდა 40, 60 და 100 წევრი. მოვიგონოთ ის სული, რომელიც აერთებდა ამოდენა კრებულს, ამოდენა ოჯახს. მოვიგონოთ, რა სიკეთე მოსდევდა ასე მტკიცედ შეერთებულს ადამიანთა კრებულს. ეს სიკეთე იყო: დიდი ქონება და დოვლათი, ბარაქა-გამოულეველი სიუხვე, ობოლთა და საპყართა უზრუნველ-ყოფა, მტრისა და მოყვარეს დახვედრა და გაძღოლა და სხვა მრავალი სიამოვნება. გავითვალისწინოთ ისიცა, რომ ამ ჟამადაც ის ოჯახია ძლიერი, ზურგ-გამაგრებული, რომლის წევრნიც რიცხვ-მრავლობენ, ბევრნი არიან და თანხმობით, ერთსულად ჰმოქმედობენ. ვინ აჯობებს და ვინ დასძლევს ცხრა ძმასა, რომელნიც ერთად ილვწვიან, ერთად ჰმოქმედობენ! გავითვალისწინოთ ყოველივე ესე და შევუდგეთ, შევეცადოთ რიცხვ-მრავალ ოჯახთა დაარსებას, გაძლიერებას. ამ აზრით, განდევნონ გაყრა-განაწილება და ხალხიც თავს დააღწევს იმ ათას გვარ გაჭირებას, რომელიც ასე მრავლად დაბუდებულა ჩვენს პატარ-პატარა ოჯახებში. ვეცადოთ და განვავითაროთ დიდრონ ოჯახთა წეს-წყობილება და ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი სამუდამოდ თავს დააღწევს იმ გათახსირებას, რომელშიაც დღეს არის ჩავარდნილი. ვეცადოთ, ისეთი რიცხვ-მრავალი ოჯახი დავაფუძნოთ მრავლად, რომ ცხოვრებისათვის ყველა საჭირო ნივთის მკეთებელი თვით ამ ოჯახში მოიპოვებოდეს, რომ ამ ოჯახს, გარდა უბრალო წვრილმანისა, სხვაგან არაფერი სასყიდელი არა ჰქონდეს! ვგონებ შეუძლებელი არ არის, რომ წარმოება ყველა საჭირო ნივთისა და აგრედვე შვილთა აღზრდა-განათლებაც კი თვითონ ოჯახში სწარმოებდეს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ გამგეობა ოჯახისა წესიერი, სრული და ჰარმონიული იყოს.

ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ ეს საქმე ყოვლად ძნელი და შეუსრულებელი ოცნებაა... არა, ძნელი არ არის, რადგანაც უწინაც ბევრი ყოფილა ჩვენში გაძლიერებული ოჯახი და დღესაც არა იშვიათია. კარგად გავითვალისწინოდ ყველა ის სარგებლობა, რომელიც აუცილებლად თან მოსდევს კარგად მოწყობილს, რიცხვ-მრავალ ოჯახს, გავიხსენოთ ამავე დროს ყველა ის შემაწუხებელი და გამათახსირებელი გარემოებაც, რომელიც პირ-იქით აუცილებლად თან სდევს ჩვენს დღევანდელს ხელმარტოობით ცხოვრებას, განაპირას, განდეგით, გარეწრობით კარ-ჩაკეტილს ცხოვრებას, ჩვენს ცუდ მედიდობას, ცრუ თავ-მოყვარეობას, ქიშპობას და ადვილად დავრწმუნდებით, რა აუცილებელი საჭიროებაა მართლა ჩვენთვის კვლავ დავუბრუნდეთ ძველებურს ოჯახს, კვლავ აღვადგინოთ ძველი, რიცხვ-მრავალი, გაძლიერებული, ქონება-დოვლათით გათქმული ოჯახი.

შეერთებით მუშაობა—მოქმედება დღითი-დღე ვრცელდება და ვითარდება ყველგან განათლებულს ქვეყნებშიაც შეერთებით, შეამხანაგებით მუშაობას ეტანებიან ყოველგვარს სფერაში, ყოველგვარს წარმოებაში და ამიტომ საცა ასეთი შეერთებშეამხანაგება, ასოციაცია და საოპერაციო მოღვაწეობა გავრცელებულია, იქ ცხოვრებაც წარმატებაშია, სდუღს და გადმოდის. თვით ქალაქთა და ერობათა მოქმედება და მოურავობა თანდათან იღებს საერთო მოქმედების სახეს და სწორედ, ვისაც ჰსურს წინ სვლა, უთუოდ, არა თუ ხელი უნდა მოუმართოს საერთო მუშაობა-მოქმედების გაძლიერებას, არამედ ყოვლის ღონისძიებით უნდა ეცადოს აღორძინოს კიდეც. თვით სახელმწიფონიც მიისწრაფიან ასე სამოქმედოდ, ასე სამოღვაწეოდ...

უმთავრესი საგანი, რომელსაც იკვლევენ ამ ჟამად მეთაურნი კაცნი დაწინაურებულს ქვეყნებში, ის არის, რომ ადამიანმა უკეთ შეიგნოს, როგორ აწარმოვოს და როგორ მოიხმაროს თვისი ძალ-ღონე ცხოვრების ბრძოლა-ჭიდილში. თუ-კი შეერთება, ასოციაციით საქმის წარმოება ამ მეთაურთაგან დანახულ იქმნა უკეთეს ღონედ ადამიანისათვის, მაშ რაღამ უნდა დაგვიშალოს, რომ ჩვენც სწორედ ამ ღონეს მივმართოთ, და არა მარტო საზოგადო ჩვენი ცხოვრება, არამედ ცხოვრება ჩვენი ოჯახისაც.

*) რადგანაც რედაქცია ზოგ რასმეებში ვერ ეთანხმება პატივცემულ ავტორს, ამიტომ თავის აზრს გამოსთქვამს შემდეგში.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ, ნაშუადღევის ოთხ საათზედ ქალაქში ჩამოვიდეს.

*** ხუთშაბათს კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიამ გადასცა კავკასიის სამხედრო სისხლის სასამართლოს გამოძიება თავ. ნიჟარაძის საქმის შესახებ, რომელსაც შარშან კავკასიის რკინის გზის ერთ სადგურის უფროსის მოკვლა სწადდა და ხანჯლით დასჭრა იგი რამდენიმე ალაგას. ამ საქმის გამო კავკასიის მთავარმართებელმა თავ. ნიჟარაძე მისცა სამხედრო სისხლის სასამართლოს ახალის განკარგულებისამებრ.

*** პარასკევს სასამართლოს პალატა განიხილავს ერთს საყურადღებო საქმეს ბ-ნ კლებანსკისას, რომელზედაც ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს შეუტანია საჩივარი იმის შესახებ, რომ გენერალ ვინნერის თოფის წამლის საწყობებიდგან დიდძალი თოფის წამალი და დინამიტი გაუყიდნია გუბერნატორის ნება დაურთველად.

*** ჩვენ გვაუწყებენ, რომ რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების გარდასახადის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად დაუნიშნავთ ბ-ნი ნოდია.

*** სოფ. ყადგარონი (კავკავის მაზრა): ამას წინად, სოფ. ყადგარონს ახლო კაცი მოჰკლეს. საბრალო მთის ოსი სიმინდის სასყიდლად ჩამოსულიყო ბარად. ეყიდნა სიმინდი და მიჰქონდა შინ. გზაზედ შემოჰლამებოდა, ყადგაროს ახლო დახვედროდენ ქურდები მოეკლათ და ურმის ხარები წაესხათ.

*** საჩხერე. შორაპნის მაზრას, თუ მეტი არა, ნახევარი იმერეთი მაინც უჭირავს და ამოდენა მანძილზედ ერთი წიგნთ-სამკითხველო ვერ დაუარსებიათ აქაურ მკვიდრთ. საჩხერეში-კი, როგორც «ივერიის» მე-61 № მა გვაცნობა, სამოც კომლ სომეხს გახუზრახავს დაარსება სამკითხველოსი სომხურს ენაზე. საკვირველია, ღმერთმანი, აქაურს სომხებს იმდონივე ესმისთ სომხურისა, რამდენიც ქართველებს და წიგნთ-სამკითხველოს იარსებენ თავის სამშობლოს, მაგრამ თავისთვის უცხო ენაზედ, და ჩვენებს-კი ვერ მოუხერხებიათ. წარსულს წელს საჩხერეში გაიხსნა წიგნის მაღაზია, მაღაზიის პატრონს ის მიზანი ჰქონდა, რომ მაღაზიასთან უფრო სამკითხველოც დაეარსებინა, თუ კითხვის მსურველებს შემოიკრებდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაღაზიაში სათამაშო ბანქოს უფრო თხოულობენ, ვიდრე წიგნებს.

*** სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა): ხუმელაგაში მცხოვრებნი, ტყის უქონლობის გამო, ძალიან შევიწროებულნი არიან. ხშირად სოფ. შანაევების ტყიდგან ქურდულათ გამოაქვთ ხოლმე შეშა ხუმელაგელებს. სოფ. შანაეში მცხოვრებნი ოსები მაჰმადიანნი არიან. ამას წინად, მაჰმადიანთ რომ გაუხსნილდათ, სწორედ იმ ღამეს, ხუმელაგელები თხუთმეტის ურმით წასულიყვნენ შანაევების ტყეში იმ განზრახვით, რომ შანაეველების დღესასწაულია, დარაჯი არ ეყოლება და თავისუფლად გამოვიტანთ შეშასაო. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ ხუმელაგელებს. როგორც შევიდნენ ტყეში და დაუწყეს შეშას ჭრა, ისე შანაეველების ტყის მცველები თავს წაადგნენ ხუმელაგელებს. მოუვიდათ ჩხუბი, ტყის მცველებიც ათ-თორმეტ კაცამდის იყო, დაუშინეს ერთმანერთს და თავ-პირი დაამტვრიეს. ერთმა გამწარებულმა ხუმელაგელმა, მოუქნია ცული შანაეველს, ლოყაში გაარტყა და სასიკვდილოდ დასჭრა; მეორეს მიუქნია, მარცხენა ხელში დაარტყა ცული და თითები წააგდებინა. დამნაშავენი დააპატიმრეს და ამ საქმისგამო გამოძიება სწარმოებს.

*** 21 აპრილს პურის მოედანზედ ამბარცუმ ბაბახანოვის 5 წლის ქალი სახლის მეორე სართულიდგან გადმოვარდა და ძლიერ დაშავდა. ბავშვი სამკურნალოში გაგზავნეს საექიმოდ.

*** ამავე დღეს ღამით გოლოვინის პროსპექტზედ, ანანოვის სახლში სერგეი დიდზურაბოვს მაღაზია გაუტეხეს და სამ თუმნამდე ფული და სარდინკები მოჰპარეს.

## დამაკვირდი

რა შესაბრალისნი არიან ისანი, რომელთაც მოთმინება არა აქვთ.

შექსპირი

**

კანონი იგივე აბლაბუდაა: კრაზანა გაუსხლტება ხოლმე, ხოლო ბუზი-კი შიგ ჩარჩება.

რუს. ანდაზა.

**

არიან ისეთნი ადამიანნი, რომელნიც სიბერეშიაც ვერ გადასჩვევიან სიჭაბუკეს.

კოცებუ

## კორესპონდენცია

**გორი**, 22 აპრილი. როგორც განცხადებებიდგანა სჩანს, გორის სამოქალაქო გამგეობას ამ თვეში შეუდგენია ამომრჩეველთა სია და მომავალ თვეში შეუდგება გორის მამასახლისის არჩევანს. ძველი ქალაქის თავი სამსახურს ათავებს. ახალ თანამდებობაზედ უკვე რამდენიმე კანდიდატი ჰყავთ დასახელებული, მაგრამ აქ დასდასობას, აზრის ბრძოლას ადგილი არა აქვს. „ვინც უნდა იყოსო“, ამბობენ თურმე ამომრჩევლები. მხოლოდ რამდენსამე უჭირავთ ჩარხის სოლი და საითაც უნდათ, იქით გადაატრიალებენ „გამგეობის ბედს“. რომ ყური დაუგდოს ადამიანმა სამმართველოს ჩივილს, აი რას გაიგონებს: „ქალაქი ღარიბია, საშუალება—სახსარი არა აქვს, აბა რითი გაამშვენიეროს ქალაქი“? ვისი ბრალია ქალაქის კასის სიღარიბე, თუ არა მმართველთა, რატომ არ უნდა სცდილობდნენ ამოაჩინონ ახალი რამ წყარო შემოსავლისა. სწორედ ეს წერილიც ამ შემთხვევამ გამოიწვია; იმედი მაქვს, მომავალი საბჭო ქალაქისა თავის ყურადღებას მიაქცევს ამ საგანს...

თელავისა და სიღნაღისა რა მოგახსენოთ და არა მგონია, საქართველოს რომელსამე ქალაქში იმდენი სოფლელი მუშა ჩამოდიოდეს, რამდენიც გორში. ამის მიზეზი აი რა გახლავთ: ათასში ერთი თუ იქნება აქაური მოქალაქე, რომ თავის საკუთარი ბაღი, ან ნახნავ-ნათესი არა ჰქონდეს. ბევრს აგრეთვე უმეტესი ნაწილი ს. ხიდისთავის ზვრები ხელში ჩაუგდიათ და საკუთრებად შეუძენიათ. ამოდენა მამულებს, რასაკვირველია, მოვლა-პატრონობა უნდა. მუშა კაცმაც ეს იცის და თუ როგორმე თავის საქმე სოფლად წინ წაიყენა, ან ძმები ჰყავს სახლში, მოიმზადებს ორის კვირის, სამის, ან თუ, ახლო-მახლო სოფლელია, პირველ უქმე დღემდის საძყოფ ხამცხვარს და ჩამოდის გორში სამუშაოდ. სულ ცოტა რომ ვიანგარიშო, დღეში, მეტადრე გახშირებულ მუშაობის დროს, რატომ 300-ზე მეტი მუშა არა ტრიალებს აქაურს მოედნებზედ.

ამოდენა მუშა ხალხს თავშესაფარი არა აქვს. ზოგი დუქნებში დგება, ზოგი სამი-ოთხის ვერსის სიშორეზედ ქალაქიდგან გამოდის და რკინის გზის სადარაჯოებში დგება თავიანთ სოფლელ დარაჯებთანა. მეორე დღეს დილით სისწრაფით მიეშურებიან მოედანზე, სიარულითაც იღლებიან, ან იგვიანებენ და ადრე ვეღარ ადგებიან საქმეს. დუქანში ნამყოფს ხომ კინწი აქვს მოწყვეტილი, თვალი წაჰგორებია სხვის ქეიფზედ და თვითონაც სამი-ოთხი დღის ნამუშავარი შეუთოხოლია. ბარემ არ უნდოდა დუქანში დადგომა, მაგრამ სად წასულიყო? ზაფხული რომ ყოფილიყო, მოედანზედ ცის ქვეშ სადმე მიეგდებოდა, ახლა-კი სიცივე ძვლებში უვლის. რას იფიქრებდა, თუ ბევრი დაეხარჯებოდა. მედუქნემ უთხრა, თუ აბაზსა და ექვს შაურს დახარჯავ, დაგაყენებო, იმან რა იცოდა, თუ ამდენი დაეხარჯებოდა. სწყევლის დუქნის გაჩენას, მაგრამ რაღას მოუმატებს!.. განა თვითონ მემამულე მუშის დამჭერისათვის-კი კარგია ასეთი მუშა, დაგვიანებული და მთელ ღამეს დაუსვენებელი?

ერთი ხათაბალაც ის არის, რომ არ იცის ვის და სად დაუტოვოს თავის ორი-სამის კვირის საგძალი, ძალა უნებურად თან დააქვს, და განა ცოტა ტარება უნდა 30—40 სოლივით ჭად-პურასა? *) განა კარგი არ იქნებოდა, რომ ყველა ამ მუშებს ერთი საერთო სადგომი სახლი ჰქონდეს, რომელშიაც თითო შაურიც რომ გამოერთვათ, განა ცოტა შემოსავალი იქნება, განა 15 მანეთი დღეში და წელიწადში 4500 მანეთით ქალაქი ვერაფერს უშველის თავის თავს?!... ან გორელი მოქალაქესთვის შეღავათი არ არის, მივიდეს საღამოთი, გაურიგდეს მუშას და მუშაც, გათენდება თუ არა, მუშაობას დაადგეს იმის ვენახში... ქალაქის სამმართველო უნდა შეეცადოს ამ საქმის განხორციელებას. ეს როგორც საკუთარი სარგებლობა იქნება, ისე საზოგადო. აი ერთი წყარო შემოსავლისა. ამ საქმისათვის ვალიც რომ აიღოს ქალაქმა, მალეც გადაიხდის და საშვილიშვილო სიკეთესაც დასთესავს.

ასეთს „მუშათ-სადგურით“, როცა უქმეობით მუშები შემცირდება, სხვა ნაირათაც შეიძლება სარგებლობა. მთელი გორის ხელოსანი ხალხი მოკლებუბულია „სულიერს საზრდოს“ და ერთად ერთი გართობა ქალალდის თამაშობაა. „დიდ ქუჩაზე“ დასავლეთის მხარეს ყველა დუქანში, უკანა დერეფანში გაჩაღებულია ბანქოობა, და მუშა ხალხი, ხელოსნები ბევრჯელ თავის ნამოვარსაც აგებენ. რო ურჩიოთ ბანქოობის მავნებლობა, „მარით გავერთოთ, სულ ხომ ვერ ვიმუშავებთო“, გეტყვით. მართლა დარით გაერთოს ეს ქალაქისაგან უნუგეშოთ დატოვებული ხალხი. მეორე გართობა, გარდა ბანქოობისა აქეთ-იქით დას-დასათ თრევაა, ცეკვა „არღანებზედ“, სმა და სიმღერა. ქალაქი მოვალეა ამ ზნისა და ჯანის გამხრწნელს გარემოებას ყურადღება მიაპყროს. გორში ბევრი ქართველი მასწავლებელია და ისინი თავიანთი უმცროსის ძმისთვის უქმე დღეებში ერთ ორ საათს არ დაიშურებენ ასწავლონ რამე. „მუშათა სადგურში“ შეუძლიათ კითხვა ლექციებისა, მუშებს-სოფლელებს არაფერი გადახდებათ, რა-კი ისეც თითო შაური უნდა გამოიღონ და ხელოსან-მსმენლებს-კი შეიძლება გამოერთვათ მცირე გარდასახადი. თუ ეხლა ლოთიფოთურს სიმღერებს სწავლობს ხალხი დუქნებში და შედის და ავრცელებს, მაშინ მოვესწრობით ჩვენის მწერლების „მარგალიტების“ გავრცელებას. რამდენიმე მასწავლებლის აზრიც ეს არის და ამას ქალაქმა უნდა ხელი შეუწყოს. მარტო ქუჩების სუფთაობა, ნიხრის დაწესება, და ფაიტონის „იარლიკები“ ხომ არ არის ქალაქის საქმე?!“

ამ გვარ «მუშათა სადგურებში» დადგება ის აუარებელი ხალხიც კაციან ქალიანად, რომლებიც თავის შვილებს საჯარო კენჭის ამოსაღებად ჩამოსდევენ და თითქმის ერთ კვირა მეტსა რჩებიან ქალაქში. ამოდენა ხალხი, რომელიც, ძალა-უნებურად, დუქნებში დგება, თქვენა ბძანეთ, რა ამბავს წაიღებს სოფლად, რამდენ სისაძაგლეს შეიძენს. ჩვენი სოფლელი მანდილოსნები რამდენ უშვერს

*) პურისა და სიმინდის ფქვილია გადარეული, ორი წილი სიმინდის ფქვილია, ერთი წილი პურისა. თითქმის ყველა მუშის საჭმელი ასეთი პურია.

---

დიდრონნი ოჯახნი სამეურნეოდა და სამრეწველოდ მოწყობილნი, იმიტომ არიან ძვირფასნი, რომ ისინი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევენ საყოველთაო აღზრდა-განვითარებას, ყველა წევრთა ხასიათის შემუშავებას, მუშაობის და ცხოვრების სიაძოვნება—სარგებლობას და საჰიგიენო ვითარების განკარგებას.

რიცხვ-მრავალ ოჯახობით ცხოვრებას კიდევ ის კარგი თვისება სჭირს, რომ წევრნი ამ ოჯახისა ერთად ცხოვრობენ, სჭამენ, სძენ და სხვ., რასაც დიდი შეღავათი და დაზოგვა მოსდევს. ამ გვარად მოწყობილს ოჯახში ყველა დედ-მამა დახსნილი და თავისუფალია ზრუნვისა და წუხილისაგან საკუთრებისა და შვილების უზრუნველ-ყოფის შეძენაში, რაიცა აგრეთვე დიდი განძია ადამიანის ანგარებით სავსე წუთი-სოფელში.. ყველა მისი წევრნი იმავე დროს შრომის-მოყვარენი, მხიარულნი და კმაყოფილნი არიან; მაშინებს არა სწყევლიან, არამედ თაყვანსა სცემენ ძათ ძომგონებისა... მაძულებს კარგად ამუშავებენ და აპატივებენ და იმ ძიწებსაც, რომლებიც წინად შეუმუშავებელი ეყარა, ახლა ხელს ჰკიდებენ რადგან დიდს ოჯახს დიდი ძალაც აქვს... ხალხი სწავლობს და ახიაროულობს... ზარმაცობას, ლოთობას, ჩხუბს, გლახაობას და სხვა მრავალს სიბილწეს და სიბოროტეს სრულიად ნიადაგი არ მოეპოვება ამ გვარად მოწყობილს ოჯახში ამ გვარი ოჯახი, როგორც უფრო მეტის ძალისა და ქონების პატრონი სხვის მიწასაც იღებს შესამუშავებლად და, თუ საჭიროა, საკუთრებადაც ადვილად იძენს... თუ ოჯახი მეტის-მეტად მრავლდება, იძენს თავისუფალ ადგილს შორს სადმე და ასახლებს იქ ერთს ნაწილს თვისის ოჯახისას...

დამტკიცებული და აღიარებულია საქვეყნოდ მრავალ მოგზაურთაგან ის უბედური მდგომარეობა ახალმოშენე გადასახლებულთა უცხო ქვეყნებში, რომელნიც სათითაოდ, მარტო-ხელობით ცხოვრებას მისდევენ და, პირიქით, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან ისინი, რომელნიც დიდრონის ოჯახებით ცხოვრობენ ახალს ბინაზედ; ხოლო მაშინ, როდესაც ამისთანა ოჯახს ასახლებს დედა-ოჯახი ცხოვრება მისი ბევრად უკეთესია. დედა-ოჯახი, ამისთანა შემთხვევაში, როგორც კარგი მშობელი, ისე უწყობს ხელს ყოველფრით ახლად-გადასახლებულებს: მიწას ჰყიდულობს მათთვის, სადგომებს აშენებს, ყოველგვარ იარაღის შესაძენად ზრუნავს და სხვ.; სათითაო ცხოვრებით-კი სადმე ამერიკის დაბურულს ტყეებში ანუ აფრიკის უდაბნოებში, მარტოხელნი აუწერელს განსაცდელში სცვივიან და ხშირად თვით სიცოცხლესაც ესალმებიან.

სწორედ რომ შესაბრალისია მარტო-ხელის კაცის ცხოვრება! იმას ნუღარ ვიტყვით, რომ ავადმყოფობაში ანუ სხვა უბედურობაში ხელმარტონი სრულს უმწეობასა ჰგრძნობენ და ჰგონიათ სრულიად მოწყვეტილნი ვართ დანარჩენს კაცობრიობასაო. იმას ნუღარ ვიტყვით აგრეთვე, რომ მოკლებულნი არიან სწავლა-განათლებას, სიამოვნებას გართობას. ყოველსავე ამას განმარტოებით მცხოვრებნი, მარტო-ხელნი სიზმარშიც ვერა ჰნახავენ... ყოველივე ეს, და სხვა მრავალი უბედურება შესაძლებელია აცილებულ და თვალსაჩინოდ შემცირებულ იქმნას გონივრად მოწყობილ რიცხვ-მრავალ ოჯახსას შეძლებით. აი რასა სწერს ერთი მოგზაური: „კარგად მახსოვსო“. ამბობს, „რა სიამოვნება ვიგრძენ, როდესაც მარტო ხელი ფრანგების ახალშენებიდან ფეხი შევდგი ფურიერის რიცხვ-მრავალ ოჯახში; ეს ოჯახი ტლეხსენის მთის ძირში იყო დასახლებული; კარ-მიდამოს წინ გადაშენებულიყო მრავალი მშვენიერად მოწყობილი და შემუშავებული ფერმები, ბაღები, ბოსტნები, სამრეწველო შენობანი და სხვ. ჩემთვის საჭირო არ იყო თქმა, განაგრძობს იგივე, რომ ყოველივე ეს ნაყოფია იმავე სიკვდილის შვილთა შაერთებულის ძალისა, რადგანაც შორიდამვე ყველა მიხვდებოდა ამას“.

—დიახ, ასეთი დიდი ძალა და ქარი აქვს საკუთრებათა, და წვრილ-წვრილ შეძლებათა შეერთებას, შეწილადებას!..

მარტო-ხელს კაცს, მეტადრე ჩვენში, სახლი-სახლს არ უგავს: იგი მიწურია, უფრო ბუნაგი დათვისა, ნესტიანი, უსინათლო, უკედლო; მოკლედ რომ ვსთქვათ, ოჯრმოა ბნელი და უწმინდური! ტანისამოსი მისი—ნაფლეთებია და კონკის ძველანი, ათასგან დაბრასტნილ-დაკერებული, ჭუჭყითა და მწვირით სავსე. უმწეო და დაჩაგრული, იგი მარად ღარიბია, გაუბედავია, ზარმაცია, გულ-დახურული, გულ-ჩათხრობილი..

ბევრს ლაპარაკობენ ჩვენში, რომ

სიტყვებს გაიგონებენ და შეაჩვევენ ყურს... ერთის სიტყვით, ეს „მუშათა სადგური“ სწორედ დიდად სასარგებლო იქნება და ამიტომ ვისურვოთ, რომ ჩქარა განხორციელებულიყოს...

მზე-ქაბუკი

---

**მეჯუთის ხეობა**, 20 აპრილი. დაიწყო თოვლმა მთებზედ დნობა და თანდათან იზრდება ჩვენი გიჟ-მაჟი მეჯუდა. სწორედ რომ გაუგებარი რამ არის მთის ბუნება. ზაფხულში მეჯუდა სასაცილო სანახავია: რაღაც პატარა, მთებიდამ ჩამოგორებულს ქვებს ოდნავა ჰფარავს, მაგრამ სამაგიეროდ უნდა ჰნახოთ, გაზაფხულზედ რა მრისხანედ მოჰქუხავს და მოაქვს თან არე-მარე... ჯერ მთებზე და უფრო-კი შორეულს მთებზე თოვლს გაზაფხულის სუნი არ დასცემია. აბა, როცა იქაც იწყებს თოვლი ჩამოდნობას, მაშინ უნდა ნახოთ, როგორ გაფითრებული სცემს მთის კალთებს თავისს ბასრს ტალღებსა და რა ძალით მოაგორებს უშველებელს კლდის ნაპრალებს; მოშხუის გამალებული და შეჰღრიალებს გაღმა-გამოღმა მთებს, გზა მომეცით გზაო. ამ გვარს ბრძოლას ყოველ წლივ იმეორებს პატარა მეჯუდა და ყოველ წლივ ასვამს მთის პირა კალთებს თვისს ნიშანს. ვინ გაჰბედავს ამ ღელვის დროს მისს შეჭიდებას?.. მთის კალთებზედ, მაღლობებზედ გაყვანილია საშიში, საცალფეხო ბილიკები, რომლებსაც აქაურნი „თანოანებს“ უწოდებენ, და ამ ბილიკებით ჩამოდიან ქართლად მთაში მცხოვრებნი: ოსებიც და ქართველი მთიულებიც. ათასი გაჭირვება რომ ადგეთ, მაინც ვერ ჰბედავენ მეჯუდაში გასვლას, და ან-კი რომელ გზაზე-ღა წავლენ, როდესაც გზაც და ახლო-მახლო არე-მარეც სრულიად მოოხრებულია ხოლმე მეჯუდისაგან, ვიდრე თოვლი სრულიად არ ჩამოდნება მთებიდან.

სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ მეჯუდის ხეობის შეყოლება სულ საბატონო მთა-ტყეებია და აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს აქ რიგიანის გზის გაყვანა, ე. ი. ისეთის გზისა, რომ გაზაფხულის მოგიჟიანებამ მდ. მეჯუდისამ არ დაუშალოს გლეხებს შეშის გატანა და სხ. საჭირო ტყის იარაღისა. მთელს მეჯრუხევს და ახლო-მახლო სოფლებს ამ გზებზედ უხდებათ სიარული და გზები-კი არა აქვთ. რის ვაი-ვაგლახით უნდა უცადონ წყალის ჩამოჯდომას, მერე გზის ცოტად, თუ ბევრად ხეირიანად შეკეთებასა, და მერე-კი გააბამენ პირი-პირს ურმებით და ეზიდებიან ხე-ტყეს. არ სჯობიან, ერთხელვე გაიკეთონ მკვიდრი გზა, რომ მეჯუდას გულისა არ გახდნენ ხოლმე; გაიყვანონ გზა ცოტა მაღლა კალთებზედ, იქ, სადაც წყალში გასვლა უხდებათ ეხლა, და სამუდამოდ აიცილონ სხ. და სხ. გვარი უსიამოვნება?.. მერე, ვგონებ გაუჭირდებათ, ვეღარ აუვლენ ნაღმს წამალსა. სადაც-კი, ასე გზის შეკეთებაა საჭირო, ისეთი ნიადაგია ყველგან, რომ წერაქვითკი არა, კეტით ჩამოითხრება ფხვიერი კლდე და სრულიად ადვილად გაიკეთებენ საშვილიშვილო გზასა. მაგრამ ვინ არის ხმის ამომღები?.. იქნება სთქვან, უფრო საჭირო საქმეები აქვს გლეხობას საკეთებიო? ნუ თუ ეს საჭიროება არ არის, რომ გლეხს ხე-ტყე სჭირდება და უგზობის გამო სცდება?..

ან ავიღოთ მთაში მცხოვრებნი. იმათაცა აქვთ თავისი პაწაწინა ინტერესები, მაგალითად: კვერცხსა, ერბოსა, ყველსა, მატყლსა და სხ. ჰყიდიან. ეს არის ვაჭრობა, მთელი აღებ-მიცემა და უგზოობის გამო-კი უნდა ეს ვაი-ვაგლახობით ნაშოვნი საქონელი შინა რჩებოდეთ და იმავ დროს შიმშილით კუჭი ეწოდეთ. მგონი ყველამ კარგად იცის, რომ მთაში არ მოსდით წლის სამყოფი სარჩო და ზამთარშივე აკლდებათ პური, (ქერი, რადგანაც უფრო ქერის პურით იკვებებიან), მას შემდეგ-კი მეორე მოსავლამდის სულ ქართლიდან ეზიდებიან საჭმელს. ზურგით სად შეიძლის ყოველთვის ზიდვა მთელის ოჯახობისათვის საკმაო საზრდოსი. და თუ არც ეს შეიძლება და აქ მეჯუდაც მტრად ეპყრობა ხალხს ყოველს გაზაფხულზედ, რა ჰქმნას საწყალმა ხალხმა? კარგად ვიცით, რომ კუჭი დიდხანს ვერ მოითმენს შიმშილსა და ვერც მოუცდის წყლის ჩამოჯდომას. მდ. მეჯუდა-კი მარტის ნახევრიდგან ან მარტიდგან დაწყებული მაისამდის და მაისის ნახევრამდის სულ ამ ყოფაშია.

არა, ხალხი კარგად ჰხედავს თავის გაჭირვებულს მდგომარეობას, მაგრამ რა ჰქმნას... ის მხოლოდ მაშინ აკეთებს საქმეს, როდესაც ძალას დაატანენ და ამიტომ ზნეობრივად და სამსახურითაც მოვალენი არიან გლეხობასაც მახლობლად მდგომნი მოხელენი, მუდამ თვალს ადევნებდნენ იმათს ინტერესებს, მათს გაჭირვებულს მდგომარეობას და გზას უჩვენებდნენ. მაგ. ბოქაულ-მამასახლისნი მოვალენი არიან, მაზრის უფროსის დახმარებით, შეუდგნენ ამ საკეთილო საქმეს და ერთხელვე სამუდამოდ ააცილონ ხალხს თავიდგან ეს გაჭირვება. მით უფრო საადვილოა ეს საქმე, რომ იმის ასაცილებლად ხელს გამოიღებს ორის მაზრის ნაწილი, გორისა და დუშეთისა, და საქმე-კი სრულიად ადვილი ასასრულებელია... ამ გვარ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე: „საგონებელი თვისაო, საქმევ არც ერთის დღისაო“!.. იმედია, ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევენ ამ გარემოებასა და ხმა ესე ღაღადებისა არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა...

მეჯუდელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ქ-ნს სმირნოვისას, რომლის წერილები ჟურნალ „Сѣвер. Вѣст.“-ში იბეჭდება, საყურადღებო ცნობები აქვს მოთხრობილი ალექსანდრე II და მისი ამხანაგების სიყმაწვილის შესახებ. მაგალითად, როდესაც იმპერატორ ნიკოლოოზ პავლეს ძესთან შევიდოდნენ გამოსათხოვებლად ყმაწვილები, პირველი ის შევიდოდა თურმე, ვინც იმ დღეს ყველაზედ უკეთესად იმეცადინებდა და კარგი ნიშანი ჰქონდა გაკვეთილის ცოდნისათვის.

ხშირად პირველობა შეხვდებოდა იოსებ ვიელგორსკისაო, სწერს ქ-ნი სმირნოვისა. ვიელგორსკი გაუბედავის ხასიათისა იყო, შედგებოდა ხოლმე კარებთან და სირცხვილისაგან შესვლას ვეღარა ჰბედავდა; მაშინ მემკვიდრე ცესარევიჩი ხელსა ჰკრავდა ხოლმე და შეაგდებდა ოთახში; როდესაც-კი თითონ მიიღებდა კარგ ნიშანს გაკვეთილისას, მაშინ სიამოვნებით აწითლებული შევიდოდა პირველი. პატკული-კი საშინელი ზარმაცი იყო, რის გამოც ხელმწიფე ეუბნებოდა ხოლმე: „სხვები წითლდებიან და შენ-კი არას დროს არა წითლდები, რომ ყოველთვის ბოლოსა რჩებიო“. ამ სიტყვებს პატარა ზარმაცი სრულიად გულ-გრილად ისმენდა. ერთხელ რომ მაინც შესულიყო, პატკული პირველად იმპერატორთან, ტახტის მემკვიდრემ და იოსებ ვიელგორსკიმ გადასწყვიტეს, ხვალისთვის გაკვეთილს ნუ ვისწავლითო, მართლაც იმ დღეს პატკული პირველი შევიდა. იმპერატორმა ნიკოლოოზმა მიულოცა ეს გამარჯვება, მაგრამ სხვების ღიმილმა შეატყობინა, რომ ეს იმათი მოხერხებული საქმე იყო. იმ საღამოს იმპერატორმა არა სთქვა-რა, მაგრამ მეორე დღეს რომ დაინახა პატკული ისევ ბოლოში, სთქვა:

— შენი გამარჯვება, როგორც ვატყობ, ხან-გრძლივი არა ყოფილა.

პატკულმა უპასუხა:

— ეს იმიტომ, რომ დღეს ამათ გაკვეთილი იცოდნენ, გუშინ-კი სრულიად არა იცოდნენ-რა და მე, რასაკვირველია, ორი სიტყვა მაინც მეცოდინებოდაო.

მეორე ალაგას ქ-ლი სმირნოვისა აღგვიწერს: საყვარელს თამაშობას— ჭიდაობას მემკვიდრისას ადლერბერგისას, ტოლსტოისას, ა. კ.—სას და პატკულისას:

მემკვიდრე მთლად ოფლში გაწურული, დახეულის საყელოთი (მაშინდელ დროში ყმაწვილები დიდრონ საყელოებს ხმარობდნენ) პატკული უფრო უარესად გაწეწილი, ვიდრე ყოველთვის, ალიოშა გაწითლებული, როგორც ინდოური, ყველანი გიჟებივით იცინოდნენ, ბედნიერნი, რომ შეიძლეს ჭიდაობა, ყვირილი, სირბილი, ხელების ქნევა. ალიოშა გასაოცრად ღონიერი იყო, სრულიად ადვილად ყველას ხელში აიყვანდა ხოლმე თითოთითოდ, გადისვრიდა მხარზედ და მერე ასე წამოკიდებული დაატრიალებდა ოთახში და ცხენივით ხვიხვინებდა. საშინელი მასხარა იყო. ერთხელ იმპერატორს სთხოვა დავიჭიდოთო. იმპერატორმა ნიკოლოოზმა უთხრა:

— ჩემთან გინდა ჭიდილი? მერე გავიწყდება, რომ მე შენზედ ღონიერი და მაღალი ვარ?

— ეგ სულ ერთია, მე არავისთან არ მეშინიან ჭიდილი, კარგად ვიცი, რომ ძალიან ღონიერი ვარ.

— მაშ გოლიათი ყოფილხარ? პაწიამ უპასუხა: მე ყაზახის სისხლი მიდგას ძარღვებშიო და „პოლტავი“-დგან ლექსი სთქვა, რაც ძალიან მოეწონა იმპერატორს.

— მაშ დავიჭიდნეთ, მე შენზედ მაღალი ვარ და ცალის ხელით გკრივები.

ალიოშამ მუშტები შეკუმშა, დაუკრა თავი, როგორც მუშტის კრივში იციან ხოლმე და მერე ჰკითხა:

— მაგრად დარტყმაც ხომ შეიძლება?

— სრულიად მოურიდლადაო, უთხრა ღიმილით იმპერატორმა

ყაზახი თვალის დახამხამებაზედ გამოვარდა, როგორც ზარბაზნიდგან გამოსროლილი ყუმბარა და ეცა. ხელმწიფე ცალის ხელით იგერებდა და დრო და დრო ამბობდა:

ძლიერ ღონიერია, ეს პაწია, ღონიერიც არის და მარჯვეცაო.

როცა დაატყო ხელმწიფემ, რომ მეტად დაიღალა და ძლივს-ღა ჰქშინავსო, აიყვანა, დაჰკოცნა და უთხრა:

—ყოჩაღ, ყოჩაღი ხარ და სწორედ რომ გოლიათი ყოფილხარ.

ამას შემდეგ დანარჩენმაც მოინდომეს იმპერატორთან ჭიდაობა. როცა გმირმა „ყაზახმა“ შეისვენა, ყველანი ერთად მისცვივდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეს—იმპერატორს, რომელიც გულხელ-დაკრეფილი იდგა; ხან მუნდირის კალთებზედ ეჭიდებოდნენ, ხან ფეხებზედ ეკიდებოდნენ, სცდილობდნენ მუხლები ჩაეკეცინებინათ როგორმე, მაგრამ ვერა მოახერხეს-რა. იმპერატორი დრო გამოშვებით ეუბნებოდა: „ნუ ყვირით აგრე ძალიან, დაიქანცებითო“, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდნენ. ბოლოს ბრძოლა გათავდა, რაკი მებრძოლი აღარა ჰყავნდათ: ყველანი მოდალულ-მოქანცულნი, ბალახზედ ჰგორაობდნენ.

ყველაზედ მეტად იმპერატორი გააცინეს პატარა ქალებმა: მერისაც-კი, რომელიც ისე პატარა აღარ იყო, მოუსვენრობა ეტყობოდა, ეგონა, მამას წააქცევენო; მაგრამ როცა დაინახეს, რომ ყმაწვილები ბალახზედ მიეყარნენ, ერთად დაიძახეს „ურაო“! მისცვივდნენ იმპერატორს, დაჰკოცნეს და ჰკითხავდნენ, ხომ არა გატკინეს-რაო? ამ სიტყვამ დიდად გააცინა ნიკოლოოზი.

რა ბედნიერად გამოიყურებოდა ნიკოლოოზი, როცა მოიხელებდა თავისუფალს დროს, რომ იმათთან გაეტარებინა. ერთხელ სთქვა:

— ჩემი ცოლ-შვილია ჩემი სიხარული და მოსვენება და მე-კი ასე ცოტა დრო მაქვს, რომ იმათთან ვიყო და დავსტკბე ჩემ შვილებთან სიამოვნებითაო“.

როდესაც იმასა ვხედავ რომელიმე დღესასწაულზედ, „პარადზედ“, სადაც ისეთი შუბლ-შეჭმუხნულია, სასტიკი, ვიტყვი ხოლმე, ვინც ამას თავის შვილებში არა ჰხედავს, ვერ იცნობს, ვერ მიხვდება ამ ჭეშმარიტის ადამიანის გულს-მეთქი, იმ ადამიანისას, რომელიც თავისს ოჯახში, სახლობაში სულ სხვაა.

## შესანიშნავი კაცნი

### I

### პითაგორი

პითაგორი დელოსში დადიოდა და იქა ლოცულობდა აპოლონის ტაძარში. მისი ტრაპეზი იმითი იყო შესანიშნავი, რომ არასოდეს არ შესვრილიყო მსხვერპლთა სისხლით. რად იქცეოდა ასე ეს ფილოსოფოსი? იმიტომ რომ ამით უნდოდა გულის ხმაში ჩაეგდო ხალხი და ცხვირში ამოეკრა ქურუმთათვის, რომელნიც ერის მიერ შეწირულის მსხვერპლითა სცხოვრობდნენ.

პითაგორი ბრძენი კაცი იყო, ფრი-

---

ყველაფრის მოსავალმა შესამჩნევად იკლოო, რომ მეურნეობა ზარალის მეტს არას იძლევაო და სხვ. ამის მიზეზად მარად ყველაფერი მოჰყავთ, ეს მამულს ძალა გამოერია, მოილალაო, მამულის მუშაკმა არა იცის-რა მამულის მოვლისაო, დაუდევრობა, ზარმაცობა და სხ. ერთის სიტყვით ყოველ გვარ მიზეზს ასახელებნ, გარდა ერთისა, სახელდობრ, იმის მიზეზისა, რომ ძლიერის ბუნების დასაძლევად თვით მებრძოლიც უნდა მეტად ძლიერი იყოს და ეს ხომ მაშინ შეიძლება, როცა ჩვენში ძლიერნი ოჯახნი იქნებიან, ისეთი ოჯახნი, რომ თითოში ორმოც, სამოცი, ასი და მეტი სული სცხოვრობდეს, მოქმედობდეს, წალმართობდეს...

ამაოა ჩივილი, რომ ჩვენს ხალხს მიწა არა აქვს, ანუ ნაკლებადა აქვს, ფული არ მოეძებნება და ბანკებია საჭირო, უვიცია და სკოლები გვინდა ღარიბია და საშინაო ხელ-საქმეც შინათ-მრეწველობაც Кустарная промышленность, უნდა დაიწყოს მეურნემ, და სხვა ამისთანები. აქ არც ერთია საჭირო, არც მეორე, არც მესამე და არც მეოთხე. თუ გვრწამს, რომ შრომა და მოქმედება და ისიც მოუცდენელი და შეუყენებელი იგივე ფული და ქონებაა, ვირწმუნოთ ისიც, რომ იმ წეს-წყობილებაში, სადაც შეუყენებელი შრომა და მოქმედება წესიერად არის მოწყობილი, სრულებით უქმი ლაპარაკი-ღა იქნება ზემოხსენებული ლაპარაკი, რომ მამულია ცოტა, ფულია ნაკლებადაო და სხვანი, რადგან, რიცხვ-მრავალი ოჯახი ადვილად მოიპოვებს მამულსაცა და ფულსაც. ასეთი ძალოვანია დიდი ოჯახი და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ადამიანის ძალ-ღონე და შეძლება მეტის-მეტად კარგს ვითარებაშია, კარგს გარემოებაში.

შევიგნოთ, შევიგნოთ, ეს ბატონებო, თუ არ გვინდა მიწასთან გასწორება, დედამიწის ზურგიდამ აღგვა! სხვა ერნი, როგორც მაგალითად, რუსები, თავიანთ, გაჭირებულ მდგომარეობიდამ გამოსვლისათვის ათას გვარ სექტებს, მწვალებელთა და განდგომილთა კრებულს აფუძნებენ, სადაც ერთობას, ერთმანერთის და განსაკუთრებით გაჭირებულის შველას ფართო ადგილი აქვს დათმობილი (მაგალითად დუხაბორებში) და ამიტომაც ცოტად თუ ბევრად კეთილდღეობას ჰპოულობენ, მაგრამ ისინი, ამ ქვეყნიურის კეთილდღეობისათვის მეტად ძვირფას დ დაუთმობელ მსხვერპლსა სწირავენ. ეს „სექტანტები“ ამ ქვეყნიურ კეთილდღეობის მოსაპოებლად ხშირად მამა-პაპათა რჯულს უდგებიან განსა და უფრო საზარელი ის არის, რომ თვით ეროვნებასაც ჰღალატობენ, როგორც, მაგალითად, ეგრედ წოდებულნი „მეშაბათენი“ (субботники — ურიობის მიმდევარნი), რის გამოც საშინელს განხეთქილებას სთესენ ხალხში და მით თვალ-საჩინოდ აუძლურებენ სახელმწიფოსაც, რომელიც მცირე შრომასა და ხარჯს-კი არ ეწევა მათის უკუღმართობის მოსასპობლად.

ან რად გვინდა რაიმე ამ გვარი ეშმაკეული? ნუ, ბატონებო, ნუ ვივიზამთ ამასა, არა თუ ნუ ვიზამთ, ფიქრადაც ნუ გავიტარებთ გონებაში! ეს ხსნად-კი არ დაედება ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას და ენას, არამედ შეიქნება მიზეზად დარღვევისა, უარესის განხეთქილებისა, შურისა და მტრობისა, ერთმანეთის გადაკიდებისა, ხოლო ყველა ამის შედეგი რა უნდა იყოს სხვა, თუ არ სრული ჩვენი დაღუპვა და განადგურება!..

არა, თუ ჩვენს სახელოვანს მამაპაპას ამდენი საუკუნე ისე უტარებია დროშა ქრისტიანობისა, რომ ერთხელაც არ უღალატნია სარწმუნოებისა და ეკკლესიისათვის, ნურც ჩვენ ვიზამთ ამასა! ნუ ვიზამთ იმიტომა, რომ მეცნიერება ახლა სულ სხვა ღონეს გვაძლევს ხსნისას და ჩვენც მხოლოდ ამ მეცნიერულს საშუალებას დავენდოთ! გავძრათ ყველამ ხელი, ნურაფერს ნუ დავზოგავთ ამ საძირკვლის ჩაგდებისათვის-კი არა, იგი დიდიხანია ჩაგდებულია ჩვენს მრავალ-წამებულს საქართველოში, არა, მის დამკვიდრებისა, ამაღლებისა, გაფართოვებისა და განვითარებისათვის და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება! ნუ დავანაწილებთ ჩვენს ოჯახს, ნუ დავაკნინებთ და ძლიერებას ნუ გარდაექმნით უძლურებათ. ძველებური ოჯახი დღესაც არის ბევრგან, მეტადრე ყრუ ადგილებში. თუ რამ ნაკლულევანება აქვს ამისთანა ოჯახს, ის ავირიდოთ, მეტი სიყვარული, მეტი კაცთ მოყვარება დავამყაროთ და პატარა ოჯახის გადიდებისათვის ვიზრუნოთ. ერთობა ძალაა, ხოლო დაკნინება, დანაწილება უძლურებაა, სიკვდილია!..

ი. როსტომაშვილი

(დასასრული იქნება)

ად კეთილის გულისა და ყოვლად თავდაბალი. იმისთანა კაცებს, როგორიც იყო პითაგორი, ბერძნები ბრძნებს *) უწოდებდნენ. ბრძენი იყო ყველა, ვინც მისცემოდა მეცნიერებას და დასდგომოდა სათნო ცხოვრების გზას. პითაგორმა იფიქრა, რომ მეტის-მეტია, კაცმა მაგისთანა სახელი მიითვისოსო და ისევ ფილოსოფოსი უწოდა თავის თავს, ვითომ სიბრძნის მოყვარული და არა ბრძენი.

პითაგორის მოძღვრებას შეუდგნენ მრავალნი, როგორც საბერძნეთში, ისე იტალიაში. როცა იტალიაში მოვიდა, დაიარა ქალაქები და ბევრგან აღადგინა მათი დათრგუნვილი თავისუფლება. ერთგან ისეთი სიტყვა წარმოსთქვა, რომ 2000 კაცი და ქალი დაიმონავა. თავის მოწაფეთა და მსმენელთ პითაგორი ასწავლიდა, შეიკავეთ თავი, დაიმორჩილეთ თქვენი გულის-თქმანი, უარ-ჰყავით სიძუნწე და პატივ-მოყვარეობა, მიეცით თქვენი ქონება ქვეყანასა, გიყვარდეთ ფიქრი, მდუმარება, მარტოობა, გონების თვალით იხილვებდეთ ყოველსავე ღვთიურსა, ესე იგი, ბუნების კანონებისას.

კროტონის მკვიდრნი უსაქმურად ატარებდნენ დროს, სულ ქეიფს და გარყვნილებას უნდებოდნენ. პითაგორმა მიაჩვია ისინი ზომიერს ცხოვრებას, შრომის მოყვარეობას და იმდენს ეცადა, რომ ქალებმა უარი სთქვეს, აღარ გვინდა ძვირფასი სამკაული, აღარ ჩავიცვამთ ოქრო მკედით ნაკერს ტანისამოსსაო. წინად კროტონელნი მხოლოდ ფორმის გულისთვისა ჰქორწინდებოდნენ. მერე მიატოვებდნენ ცოლებს და საეჭვო ქალებ შორის ატარებდნენ დროს. ფილოსოფოსმა ასეთი ავი ზნეც მოაშლევინა. რასაკვირველია, მარტო ქადაგებით ვერ მოახერხებდა ამას: ხალხს გამოუცხადა, რომ ჯოჯოხეთში ვიყავ და ვნახე, რა საშინელს ტანჯვაში არიან ისინი, ვისაც უღალატნია ცოლ-ქმრობის მოვალეობისათვისაო.

პითაგორის აზრებს ჰქადაგებდნენ მისი მოწაფენიცა. მაგრამ ერთი მოწაფე ქალი იყო მათ შორის უფრო შესანიშნავი, სულით ზე-აღფრთოვანებული და იმოდენად მტკიცე ხასიათისა, რომ ენა მოიჭრა, საიდუმლო პითაგორელებისა არ გავსცეო. პლუტოსი ამბობს, რომ პითაგორი უფრო ამა სოფლის ძლიერთა მოქცევასა და გაადამიანებას სცდილობდაო: ორს მტრად გადაკიდებულ დისს არიგებდა ერთმანერთს შორის და ომსა, ბრძოლასა და სისხლის ღვრას თავიდამ აცილებდა ქვეყანასაო. პითაგორი ამბობდა: „უნდა ვეომოთ და ვებრძოლოთ მხოლოდ სხვა და სხვა სენსა და მთარულს, უმეცრებას, ოჯახის არევ-დარევას, შინაურს ამბოხება-აჯანყებასაო“.

ასეთის სწავლა-მოძღვრებისათვის კროტონელებმა დიდად შეიყვარეს პითაგორი და მოითხოვეს, რომ სენატმა ამასა ჰკითხოს ხოლმე რჩევა და მისის თათბირ-ვაზირობით იხელმძღვანელოსო. მაგრამ წუთი-სოფელი ცრუ და ღალატიანია, ერთს დროს არავის შეარჩენს. როგორც ხშირად ყოფილა ისტორიაში, ამ შემთხვევაშიაც ის მოხდა. უგუნურმა ხალხმა, რომელსაც ღმერთად მიაჩნდა პითაგორი, ბოლოს ექვით დაუწყო ყურება. საშიში კაცია, უნდა ხელში ჩავიგდოს და იმტარვალოსო. ბრალი დასდეს, რომ მოთავე ხარ შეთქმულობისაო. გამოჩნდნენ ისეთნიც, რომელთაც შეჰშურდათ მისი დიდება, მისი სახელი. ერთმა დასმა მის მოწაფის სახლს ცეცხლი წაუკიდა. ზოგთა თქმით, პითაგორიც ამ ცეცხლმა შთანთქა; ხოლო ზოგის აზრით, პითაგორი გაიქცა და გზაში იქმნა მოკლულიო. იმასაც ამბობენ, ვითომ პითაგორი დაიმალა ერთის ცხოველის ტაძრის გალავანში და იქ მოკვდა შიმშილით, რადგან 40 დღის განმავლობაში არა ეჭამა-რაო. პითაგორის სიკვდილს შემდეგ მათ მოწაფეთ დიდხანს სდევნიდნენ და აწამებდნენ.

ამ სახით, სჩანს, რომ ეხლანდელებიც წინანდელებს ბევრში ვგევართ, რომ ისტორიამ კაცობრიობას ჰკუა ჯერ კიდევ მაგდენად ვერ ასწავლა და უმეცარი უმრავლესობა ერისა დღესაც მზად არის ტარპეუსის კლდიდამ გადასჩეხოს ყოველი შესამჩნევი მოღვაწე.

---

*) ქნება ქართველები ელადდას იმიტომ ვეძახდით საბერძნეთს, რომ იქ ბევრი იყო ბრძენი ხალხი.

ავტ.

---

## გასართობი

—

ერთმა კაცმა დაინახა, რომ ერთი ძაღლი ცუდად იყეფებოდა და სთქვა თავის თავად: „აი შე უშნო, შენა, ძაღლი ვიყო და ეგრე დავიყეფოო.

**

დედა არიგებდა თავის შვილსა:

— შვილო, ხელი აიღე პაპიროსის წევისაგან, თორემ სიცოცხლეს შეგიმოკლებსო.

— მაშ მამა ჩემი რომ ეწევა, სამოცდაათი წლისა რად არის?

— მამაშენსაც რომ ხელი აეღო ეხლა ოთხმოცი წლისა იქნებოდა, უპასუხა დარიგებით დედამ.

**

— ბატონო ექიმო, ჰკითხა ექიმს ერთმა არაყის ლოთმა, არ ვიცი რა მეშველება, თავზედ თმა არ ამამდის.

თავი არაყით დაიბანეო, ურჩია ექიმმა.

— არაყს რომ ეგ ძალა ჰქონდეს, აქამდის ხომ ყელში ცხენის კუდის ოდენა თმა ამომივიდოდაო, გაიოცა ლოთმა.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას უძღვნი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობას, რომელმაც ჩემის თხოვნის თანახმად გამოუგზავნა ჩემდა რწმუნებულ მუსხის სკოლასთან დაარსებულს წიგნთსაცავს თითო ცალი: ბუნების კარი, დედა-ენა, ხომლი, კოკორი, პატარა მოამბე, კრილოვის არაკები, კაცა-ფშავ. მოთხრობანი, ახალი კარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ცვარი, რუსი მგელი, ხატაური, შალვას თავ-გადასავალი, შინაური საქონელი და მისი მოვლა, ცა და დედამიწა, რობინზონ კრუზო, თხზულებანი ერისთავისა, შექსპირის დრამები, წითელი ფარანი, ქართული გეომეტრია, ვისრამიანი, ქილილა და დამანა, 1890 სრული „ჯეჯილი“, 1891 წ. სრული „ჯეჯილი“ და მარიამი, ანუ უკავილნის კალათა.

ამასთანავე მადლობას მოვახსენებ ქ-ნ მარია გრიგოლის ასულს გამრეკელისას და ახალციხის მოქალაქეს—თამბაქოს ფაბრიკის პატრონს ბ-ნს გრიგოლ კაიაზგოვს, პირველს—15 გზ. სხვადასხვა ქართულ წიგნის შემოწირვისათვის და მეორეს—1 მან. გამოგზავნისათვის. წიგნთ-საცავს დღემდე შეუგროვდა 117 წიგნი და ფულადაც 15 მან. 90 კაპ.

მუსხის სასწავლებლის მასწავლებელი ვ. კოპტონაშვილი

---

## დეპეშა

22 აპრილი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია ბრძანება სამხედრო სამინისტროსი იმის შესახებ, რომ გაწვეულ იქმნენ პირველ სასწავლო შესაკრებელ ვადის გადასახდელად და სათადარიგო პრაპორშჩიკები, ისინი, რომელნიც ევროპის რუსეთსა და კავკასიაში სცხოვრებენ და ეს ხარისხი 1893 წელს მიუღიათ და ისინი, რომელთაც ამ უკანასკნელ ოთხის წლის განმავლობაში ჯარში გაწვეულნი არა ყოფილან.

«С.-Петерб. Вѣд.»-ის გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა კანონი სხვა-და-სხვა სანოვაგის სიყალბის წინააღმდეგო.

**სტამბოლი.** მსოფლიო პატრიარქის მიერ მოწვეულმა სინოდმა წინააღმდეგობა განაცხადა მაკედონიაში ბოლგარიის ახალ ეპისკოპოსების დანიშვნის გამო.

**ლიუტტიხი.** ექიმი რანსონი ცოლითურთ და ექიმ ბოდარითურთ სახლში რომ დაბრუნდა, კარების დირეზედ შენიშნა რაღაცა ნივთი პატრუქ ანთებული. რანსონმა აიღო ეს ნივთი, იფეთქა და რანსონი დაეცა სახესა, მკერდსა და ფეხში დაჭრილი; რანსონის ცოლი ხელშია დაჭრილი; დაჭრილია აგრეთვე ბოდარი და ერთი გამვლელი.

პეტერბურგის ბირჟა, 22 აპრილი

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,47 | 7,49 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $149\frac{1}{4}$ | 150 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 225 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 246 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $149\frac{1}{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | 102 |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 102 |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 199 | — ,, | — ,, |

## განცხადებანი


**ყვავილის ამცრელი ექიმი პროზოროვსკი** სდგას—ვერის ჩასავალს, ოსიპოვის მამულში.

აცრა და გასყიდვა ყვავილის ჩირქისა არის ყოველ დღე, დილის 8 საათიდან 10-მდე, და შუადღის შემდეგ 3 საათიდან 5-მდე.

გარეშე ადგილებიდანაც, შეიძლება ჩირქის დაბარება, რაიცა გაგზავნილი იქნება საჩქაროდ და სუფთად.

(12—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ზროტასევიჩი,—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—185)

ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებლისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.




ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО
и
ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ
и
КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ
ФАБРИКИ
БРОКАРЪ и Ко
можно получать во всѣхъ лучшихъ магазинахъ
РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.

ახალი ამბავი!

ლამპრის პატრუქები

გაქდინთულია ახლად მოგონილის წამლით და არა ჩვეულებრივი წმინდა და ბრწყინვალე ალი აქვს, სრულიად არა ჰბოლავს და არც სუნს აყენებს, ამასთან ნავთიც ძლიერ ნაკლებად იწვის

ეს პატრუქები ქალაქის საბჭოს დარბაზში გამოსცადეს, სადაც თვეზედ მეტია ჰხმარობენ და ამ ერთის თვის განმავალობაში ხმარებამ აშკარად დაანახვა ყველას მისი სიკეთე.

26 აპრილიდგან ამ პატრუქების სყიდვა შეიძლება შემდეგ აფთიაქის მაღაზიებში:

ზაზოვისა—მიხაილოვის ხიდზედ „გრანდ-ოტელის ქვეშ.

ა. ს. არისტაკოვისა—ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ და ვერაზედ, მაკაროვის სახლში.

კონსტანტინე ვართანოვისა—კუთხე მიხეილისა და ალექსის ქუჩებსა № 51, 1.

დ. მ. მირზოევისა—შუაბაზარში, მანთაშოვის სახლში.

ე. ფ. ჯანაღოვისა—რიყეზედ, მადერის სახლში და

ჰაჯი-ბაბა-ალიევისა—თათრის მოედანზედ, ნარიმანოვის სახლში.

ფასი აღნიშნულია თითონ პატრუქებზედ დაბეჭდილის ასოებით. პატრუქების ყიდვა შეიძლება, აგრეთვე თვით ამ პატრუქების მომგონთან, რიყის ქუჩაზედ, სახლი № 41, სადგომი მუჰამედ ხაჯიევისა.

(15—1)

სასტუმრო

„პურ-ღვინო“-ში

უკვე არსებულს ფასებსა, წესს და რიგს გარდა 24 აპრილიდგან შემოღებული იქმნება ცალკე დარბაზში

იაფ ფასიანი სადილები

რაც ეხლა ფასებია, იმის ნახევარ ფასად იქნება ყოველივე სანოვაგე და სასმელი.

**სხოლიო:** იაფ ფასიან სასადილო დარბაზში კაცის თავზედ ერთი ბოთლი ღვინის მეტი არ შეიძლება.


Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Апрѣля 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე